

ტენდერი: კომპიუტერული ტექნიკის 2018-2019 წლის მიწოდება

სარჩევი

1. ტენდერის მიზანი
2. შერჩევის პროცესის მიმდინარეობა
3. ტენდერით შესასყიდი პროდუქციის სპეციფიკაციები
4. შერჩევის კრიტერიუმები და მოთხოვნები მომწოდებლის მიმართ
5. სატენდერო წინადადება
6. პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია
7. პასუხისმგებლობა
8. კონფიდენციალურობა
9. სატენდერო წინადადების წარდგენა
10. სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად წარმოსადგენი დანართები

ტენდერი: კომპიუტერული ტექნიკის 2018-2019 წლის მიწოდება

1. ტენდერის მიზანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ პრეტენდენტებს სთავაზობს გამოცხადებულ ტენდერში: „კომპიუტერული ტექნიკის 2018-2019 წლის მიწოდება“ შეთავაზების წარმოდგენას.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, პრეტენდენტს განუმარტოს სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ მოთხოვნები და პირობები სრულყოფილი სატენდერო წინადადების მისაღებად.

ტენდერის შედეგად შერჩეულ პრეტენდენტ/ებ/თან გაფორმდება გენერალური ხელშეკრულება ერთი წლის ვადით.

2. შერჩევის პროცესის მიმდინარეობა

შერჩევის პროცესი ჩატარდება შემდეგი სქემით:

- პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2018 წლის 18 მაისის 18:00 საათისა.
- სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ განიხილავს შემოსულ სატენდერო წინადადებებს და მოახდენს პრეტენდენტ/ებ/ის შეფასებას და შერჩევას, წინასწარ განსაზღვრული შერჩევის კრიტერიუმების მიხედვით.
- საჭიროების შემთხვევაში შერჩეულ პრეტენდენტ/ებ/თან ჩატარდება დამატებითი მოლაპარაკებები.
- საბოლოო ეტაპზე მოხდება პრეტენდენტ/ებ/ის შერჩევა და გაფორმდება ერთ წლიანი ხელშეკრულება.
- ტენდერი განხორციელდება შემდეგ ვადებში:

ტენდერის გამოცხადება 2 მაისი 2018
სატენდერო წინადადებების მიღება 18 მაისი 2018
გამარჯვებული პრეტენდენტ/ებ/ის შერჩევა და შეტყობინების გაგზავნა. 25 მაისი 2018
ხელშეკრულების გაფორმება 1 ივნისი 2018

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ იტოვებს უფლებას ტენდერის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შეაჩეროს ტენდერი, არ გააგრძელოს ტენდერი, შეწყვიტონ ან/და გამოაცხადოს ახალი ტენდერი პრეტენდენტ/ებ/თან წინასწარი შეთანხმების გარეშე.

ტენდერის შეჩერების/ შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის მიღება პრეტენდენტებს შეეძლება სატენდერო განცხადების პორტალზე.

ტენდერის შეჩერება ან/და შეწყვეტა არ გამოიწვევს რაიმე სახის, მათ შორის, ფინანსური პასუხისმგებლობის დაკისრებას სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“-სთვის.

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ იტოვებს უფლებას კონტრაქტის ხელმოწერამდე გააფართოვოს ან შეცვალოს მოთხოვნები გასაწევ მომსახურებასთან დაკავშირებით, რის შესახებაც ინფორმაცია განთავსდება სატენდერო განცხადებების პორტალზე.

ტენდერი: კომპიუტერული ტექნიკის 2018-2019 წლის მიწოდება

3. ტენდერით შესასყიდი პროდუქციის სპეციფიკაციები

სპეციფიკაციები მოცემულია დანართ #1-ში.

ტენდერის შედეგად, შესაძლოა, გამოვლინდეს ერთზე მეტი მომწოდებელი და ხელშეკრულება გაფორმდეს სხვადასხვა კომპანიებთან, როგორც ტენდერით გათვალისწინებულ ყველა, ისე ცალკეულ პოზიციაზე.

შენიშვნა: აუცილებელია ხდებოდეს შემოთავაზებული პრინტერის კატრიჯების დატენვა საქართველოს ბაზარზე. პრინტერებს კატრიჯების დამუხტვის შემთხვევაში არ უნდა მოეხსნას საგარანტიო მომსახურება.

4. შერჩევის კრიტერიუმები და მოთხოვნები მომწოდებლის მიმართ

ტენდერში გამარჯვებული კომპანი(ებ)ის შერჩევა მოხდება დოკუმენტში განსაზღვრული სპეციფიკაციების შესაბამისად.

სატენდერო წინადადების განხილვა მოხდება მხოლოდ სრულად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემდეგ.

სატენდერო წინადადებები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- მომსახურების ფასი
- მოწოდების პირობა
- გადახდის პირობა
- პროდუქციის ხარისხი
- საგარანტიო პირობა
- კომპანიის გამოცდილება

ტენდერში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოში რეგისტრირებულ იმ კომპანიებს, რომელთა წლიურმა ბრუნვამ გასული წლის მანძილზე შეადგინა არანაკლებ 500,000 ლარი. შემოთავაზებული ტექნიკა უნდა იყოს აუცილებლად ბრენდირებული პროდუქცია. შემოთავაზებულ ბრენდს მსოფლიო ბაზარზე უნდა ჰქონდეს მინიმუმ 10-წლიანი გამოცდილება. ბრენდის წინა წლის ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე უნდა აღემატებოდეს 2,000,000 (ორი მილიონი) ლარს. კომპანიას პროდუქციის მიწოდება უნდა შეეძლოს მინიმუმ 1-თვიანი კონსიგნაციით.

5. სატენდერო წინადადება

სატენდერო წინადადება უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას:

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ;
3. დანართი „განფასება“ (ლარში დღგ-ს და ტრანსპორტირების ჩათვლით, თანდართულ დოკუმენტში მოცემული ჩამონათვალის მიხედვით);
4. განფასება Excel-ის ფორმატში (CD ან USB);
5. კომპანიის კორპორატიული კლიენტების ჩამონათვალი (მინიმუმ ორი სარეკომენდაციო წერილით);
6. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
7. საბანკო რეკვიზიტები;
8. დანართი „ინფორმაცია პრეტენდენტის შესახებ“;
9. დანართი „სატენდერო დოკუმენტაციის ჩექლისტი“;
10. დანართი „ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე შეთანხმება“.

ტენდერი: კომპიუტერული ტექნიკის 2018-2019 წლის მიწოდება

ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის მიერ და დამოწმებული ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

დოკუმენტაციის მომზადების თარიღი წინ არ უნდა უსწრებდეს დოკუმენტების წარდგენის თარიღს 5 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით.

6. პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ უფლებამოსილია საკვალიფიკაციო დოკუმენტაციაში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოახდინოს შერჩეული პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია თუ:

1. პრეტენდენტი ირიცხება მოვალეთა რეესტრში;
2. საგადასახადო ორგანოების მიერ პრეტენდენტის ქონებზე დადებულია საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა;
3. რეგისტრირებულია ყადაღა პრეტენდენტის ქონებაზე;
4. დაწყებულია პრეტენდენტის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
5. სატენდერო განაცხადით მოთხოვნილი დოკუმენტაცია სრულად არ იქნება წარმოდგენილი.

7. პასუხისმგებლობა

ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტ/ებ/თან დაიდება ერთ წლიანი ხელშეკრულება, რომლის ერთ-ერთი მუხლი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„მომწოდებელს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში არ აქვს უფლება შეცვალოს ხელშეკრულებაში ფიქსირებული მომსახურების ტარიფები.“

8. კონფიდენციალურობა

პრეტენდენტი პასუხისმგებელია სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე, როგორც შერჩევის პროცესის მსვლელობის, ასევე მისი დასრულების შემდეგ, მიუხედავად ტენდერის შედეგებისა.

9. სატენდერო წინადადების წარდგენა

სატენდერო წინადადებების წარდგენა უნდა მოხდეს დახურული კონვერტის პრინციპით. კონვერტი უნდა იყოს დალუქული და სველი წესით დამოწმებული. კონვერტზე დატანილი უნდა იყოს:

- ტენდერის სრული დასახელება
- პრეტენდენტის იურიდიული დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი
- პრეტენდენტის საკონტაქტო ინფორმაცია
- მიმღები: სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ - შესყიდვების განყოფილება

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2018 წლის 18 მაისის 18:00 საათისა სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ ოფისში, მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N40, მე-5 სართ.

შერჩევის პროცესის მსვლელობის დროს პრეტენდენტ/ებ/ს უფლება აქვთ მოითხოვონ მათთვის საჭირო ინფორმაცია. დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის ან კითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: Evex_Purchasing@evex.ge.

10. სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად წარმოსადგენი დანართები

- ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე შეთანხმება
- ინფორმაცია პრეტენდენტის შესახებ
- სატენდერო დოკუმენტების ჩექლისტი
- განფასება